

წინმდებარე მოხსენებაში ჩვენ შევეცდებით გამოვავლინოთ ის ფორმადწარმოქმნილი მეთოდები და კომპოზიციური ხერხები, რომელიც ჩანს ამერიკელი არქიტექტორის დანიელ ლიბესკინდის არქიტექტურაში. რადგან ვთვლით, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისის ავანგარდულ მიმდინარეობებთან კავშირმა განსაზღვრა მისი სივრცული სტრუქტურების უჩვეულობა და ინდივიდუალობა. თუმცა სანამ განვიხილავთ ლიბესკინდის შემოქმედებას შევეცდებით გავიაზროთ მე-20 საუკუნის ავანგარდული მიმდინარეობების თავისებურებანი.

XX საუკუნის დასაწყისში განვითარებულ ავანგარდულ მიმდინარეობას შორის კუბიზმი ერთერთი საინტერესოა. (სიტყვიდან ცუბე-კუბი). კუბიზმმა განავითარა აზრი, რომ ერთი და იგივე საგანი ერთდროულად სხვადასხვა მხრიდან შეიძლება იყოს ნაჩვენები. იგი ჩაისახა მაშინ, როდესაც ჯონ გრისმა სამყაროს ახალი ხერხებით ასახვისაკენ მოუწოდა მხატვრებს, თუმცა მისი საწყისები ჯერ კიდევ სეზანთან ჩანს. "შეცადა ასახო ბუნება ცილინდრის, სფეროს, კონუსის საშუალებით!" ვფიქრობ სეზანის ეს სიტყვები ზუსტად ასახავს კუბიზმის იდეას. პიკასო ერთგან ამბობს: "მათემატიკა, ტრიგონომეტრია, ქიმია ფსიქონალიზი, მუსიკა და ყველაფერი დანარჩენი დაუკავშირეს კუბიზმს მისი უფრო მარტივი ინერპრეტაციისთვის, მაგრამ ეს წმინდა წყლის ლიტერატურა იყო, რომელიც ადამიანს თავგზას უბნევდა თეორიებით, იმის გასაგებად თუ რა არის კუბიზმი სინამდვილეში."

ამ მიმდინარეობის უკეთ გასაგებად ავლნიშნოთ ერთი ფაქტიც: კუბიზმის განვითარებასთან ერთად გაჩნდა სურვილი ეს მიმდინარეობა დაეკავშირებინათ აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან. აინშტაინს კუბიზმზე შესაძლოა უშუალო ზეგავლენა არ მოუხდენია, მაგრამ არაფერია გასაკვირი იმაში რომ კუბიზმი და აინშტაინის თეორიები თითქმის ერთდროულად წარმოიშვა. აინშტაინმა ახლებურად გახსნა სივრცისა და დროის, მომენტისა და მარადისობის არსი. მას შემდეგ ერთი საუკუნე გავიდა და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მძაფრად შევიგრძნობთ მას და სულ უფრო სწრაფად ვმოძრაობთ დროში, ვამბობთ დრო სწრაფად გადისო. თანამედროვე ტექნოლოგიები ასევე გვეხმარება დროში გადანაცვლებაში.

კუბიზმი ორ ეტაპად იყოფა-ანალიტიკური (1909-11) და სინთეტიკური (1912-14). 1910-12 წლები მაღალი კუბიზმის პერიოდად ითვლება. ანალიტიკური ფაზა გულისხმობს შემდეგს –მხატვრები საგნებს ანაწევრებენ, ანალიზს უკეთებენ და ახლიდან აერთებენ უკვე მხატვრული იდეის შესაბამისად. მათი ძირითადი კვლევის საგანი ამ დროს სივრცეა. ფერი ამ შემთხვევაში ნაკლებად აინტერესებთ მიმართავენ რუხსა და ყავისფერს. 1912 წლიდან ბრაკი სურათის ფაქტურის გასამდიდრებლად ქვიშასა და ნახერხს იყენებს, ხოლო პიკასო მოგვიანებით თავის პირველ კოლაჟს ქმნის. მან სურათში ქაღალდის ნატრები ჩართო. აქ მოხდა გადასვლა სინთეტიკურ კუბიზმზე სადაც უკვე არსებული ელემენტების შეერთება ხდება.

შემდეგ იყო ფუტურიზმი, ორფიზმი, მეტაფიზიკური მხატვრობა, ვორტიციზმი, ლუჩიზმი, ნეოპრიმიტივიზმი, კუბო-ფუტურიზმი და სუპრემატიზმი. რათქმაუნდა ხელოვნების ისტორია აქ არ წყდება. ამას მოჰყვება მთელი რიგი ჩამონათვალი დროისა და სივრცის შესაფერისი მიმდინარეობებისა. ამის მიუხედავად შევჩერდეთ ჩამონათვალთაგან უკანასკნელზე:

სუპრემატიზმი ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობაა მოდერნიზმის ისტორიაში. მის შემქმნელად მალევიჩი ითვლება და უმთავრესად მასთან ასოცირდება. მხატვარმა ამ მიმართულებით მუშაობა 1913 წელს დაიწყო. სახელწოდება სუპრემატიზმი 1915 წელს დაერქვა, მაშინ როდესაც პეტროგრადში მალევიჩმა გამოსცა მანიფესტი და მოეწყო გამოფენა: “0.10: უკანასკნელი ფუტურისტული გამოფენა”. მანიფესტი დაერთო გამოფენას რომელზეც პირველად წარმოჩინდა ეს მიმდინარეობა. პამფლეტს ეწოდებოდა კუბიზმიდან და ფუტურიზმიდან სუპრემატიზმამდე: ახალი რეალიზმი მხატვრობაში” გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ცნობილი “შავი კვადრატი” და მასთან ერთად 35 არაფიგურული ნამუშევარი. მალევიჩი ცდილობდა რეალობისგან გაქცევას. ”არაობიექტური სამყარო”ეს მისი მიმდინარეობის მთავარი თემაა. სუპრემატიზმი არ უცქერის და არ ეხება ის გრძობს.

სუპრემატიზმი მალე საზოგადოების დიდ ნაწილს მოედო. თითქოს ხელოვანებმა ახალი სამყარო იხილეს. ახლებურად დაიწყეს აზროვნება.

მალევიჩის სუპრემატიზმმა ამოცანად დაისახა საგნობრივი სამყაროდან განთავისუფლება, ანუ უსაგნობა, რომელიც მხატვრის მიერ აღქმული იყო, როგორც სიცარიელე და ობიექტებისგან განთავისუფლება. სუპრემატიზმი (ლათინურიდან-) გააზრებულია როგორც სუპრემატია ახალი ხელოვნება, რომელსაც ფილოსოფიური გაგებით სამყარო დაყავს ნოლამდე და შემდეგ ხდება გამოსვლა ნოლიდან. სწორედ ეს აზრი განხორციელდა “შავ კვადრატში”. მას მერე რაც მალევიჩმა ხელოვნება დაიყვანა სიცარიელემდე, ნოლამდე იგი იკვლევდა რა არის ნოლის იქით. ნოლის იქითს კი ის აკავშირებდა შემოქმედებასთან, შემოქმედების პროცესთან, რომელიც არის “სუფთა მოქმედება, სადაც არ არის საგნობრივი წარმოდგენა დროზე და სივრცეზე. ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო გამოფენა (1919წ.) “უსაგნო შემოქმედება და სუპრემატიზმი”. ამ გამოფენაზე მალევიჩმა წარმოადგინა ცარიელი ტილოები: - “თეთრი სუპრემატიზმი”. თეთრი სუპრემატიზმი ეს არის განთავისუფლება, სადაც ქრება ყველა ფორმა და გადმოცემულია უსასრულობა, გარდა მალევიჩისა ასევე გამოფენილი იყო როდჩენკოს უსაგნო ნამუშევრები “შავი შავზე”. როდჩენკოს აბსტრაქტული კომპოზიციები შესრულებული იყო შავი ტუშით, სახაზეავეების და ფარგლის საშუალებით. ნახატებში ავტორი უსასრულოდ იმეორებს გეომეტრიულ ელემენტებს. ეს არის თავისუფალი თამაში, რომლითაც იქმნება ფორმალური ასოციაციები. ორივე ავტორი დემონსტრირებდა “აბსოლუტური ნულოვანი ფერწერის” თავიანთ ვარიანტებს.

მოგვიანებით მალევიჩის სუპრემატიზმი აძლიერებს გეომეტრიული ზედაპირების როლს, იწყება მოცულობითი ფორმირება და სტერეომეტრიული კომპოზიციების შექმნა, რასაც უკვე არქიტექტურამდე მივყავართ. მოცულობით სუპრემატიზმში ერთეებიან არქიტექტონები და ამ შემთხვევაშიც სტილისტურ მოდელს სივრცეში გეომეტრიული ზედაპირი წარმოადგენს. არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსი არქიტექტორი ლისიცკის სტილისტური და ფორმალწარმომქმნელი ძიებები, რომელიც მალევიჩის კონცეფციას ეფუძნება. იგი ქმნიდა პროუნებს, რომლებშიც განსხვავებული ფორმის ფიგურებს

ერთმანეთთან აქსონომეტრიულ ხედში აწონასწორებდა. ლისიცკის არქიტექტონიკური ექსპერიმენტები ახალი გეომეტრიული სივრცის ძიებას ემსახურებოდა. ლისიცკი ზოგიერთ პროუნს არქიტექტურული ობიექტების სახელებს უწოდებდა, ისეთებს, როგორებიცაა "ქალაქი", "ხიდი" და ა.შ. მოგვიანებით, მან ზოგიერთი პროუნიც კი გამოიყენა საკუთარი არქიტექტურული პროექტის დამუშავებისას (წყლის სადგური, ჰორიზონტალური ცათამბჯენი, საცხოვრებელი სახლი, საგამოფენო ინტერიერები და ა.შ.).

პროუნები ბრტყელი სუპრემატიზმიდან და მალევიჩის კოსმიური სუპრემიდან წარმოიშვა. კოსმიური სუპრემები სუპრემატისტული კომპოზიციების უსაზღვრო სივრცეში გაფანტული სივრცული ფიგურების ორთოგონალური პროექციაა.

XX საუკუნის შუა პერიოდში მალევიჩის არქიტექტონები ახალ ეტაპში – არქიტექტურაში გადაიზარდა. ის უკვე ქმნიდა რეალურ მოცულობით ობიექტებს რეალურ სივრცეში. მისი ნამუშევრების ექსპერიმენტული ხასიათი ფორმათა ურთიერთობაში ვლინდება: განსხვავებული ფორმისა და ზომის პარალელეპიპედები სხვადასხვა მიმართულებებით კვეთენ ერთმანეთს. ამ ახალ მიმართულებას მისდევდა ლისიცკიც, თუმცა მის ნამუშევრებში მასშტაბი მეტად იყო დაცული, ვიდრე მალევიჩთან. 1923 წლიდან დაახლოებით 1927 წლამდე მალევიჩი გიფსის მოდულებს – პლანიტებს ქმნის, რომლებიც ფორმით სხვადასხვა მიმართულებებით ურთიერთგადამკვეთი პარალელეპიპედებისგან შემდგარ მოცულობებს წარმოადგენდა. პლანიტები - დედამიწელების სახლებია, რომლებსაც რთული კომპოზიციები აქვთ. (სუპრემატიზმის აღიარება და გააზრება სწორედ მალევიჩის გარდაცვალების შემდეგ მოხდა, 1935 წელს, როცა მალევიჩი მისივე შექმნილი სუპრემატისტული სტილის კუბოში ჩაასვენეს.)

ამგვარმა ხედვამ არა მხოლოდ მხატვრები არამედ მთელი ხელოვანი ხალხი შეიპყრო. კერამიკოსები, დიზაინერები და არქიტექტორებიც კი ყველა თავის დარგში ნერგავდა კუბიზმისა და სუპრემატიზმის იდეოლოგიას. რამდენად დიდი რესურსი შეუქმნა მხატვრობამ არქიტექტორებს მათს საქმეში ეს კიდევ სხვა საკითხია. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ხსენებულმა მხატვრულმა მიმდინარეობებმა გზა გაუხსნა ახალ ნოვატორულ იდეებს არქიტექტურაში. “არქიტექტურა არის მხატვრული ფორმები, ყოველთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ მხატვრობა არქიტექტურაში, მაგრამ არ შეგიძლიათ გამოიყენოთ არქიტექტურა მხატვრობაში” – დანიელ ლიბესკინგი.

მხატვრობა და არქიტექტურა ეს ორი გზაა რომლებიც ყოველთვის კვეთენ ერთმანეთს.


სუპრემატიზმის გაგენა დღემდე იგრძნობა თანამედროვე არქიტექტორთა შემოქმედებაში. (მაგ. ზაჰა ჰადიდი შემოქმედების საწყის ეტაპზე ქმნიდა ობიექტებს სუპრემატიკულ სტილში და იყენებდა ტექტონებს.) მათ შორის დანიელ ლიბესკინდის არქიტექტურაში.

დანიელ ლიბესკინდი დაიბადა 1946 წლის 12 მაისს, მან პროფესიონალი არქიტექტორის ხარისხი მიიღო 1968 და დაიწყო სტაჟორად მუშაობა არქიტექტორ რინარდ მეიერთან. იგი არის არქიტექტორი, მხატვარი 1989 წელს ლიბესკინდმა თავის მუდღე ნინასთან ერთად ჩამოაყალიბა სტუდია “დანიელ ლიბესკინდი”, მის მიერ დაპროექტებულია მტელი რიგი ობიექტები: ეს არის პრინციპული დიზაინი არქიტექტურაში, მის ნაგებობებში შედის ჯევიშის მუზეუმი ბერლინში. ხელოვნების მუზეუმი შეერთებულ შტატებში, დიდი სატელევიზიო თეატრი დუბლინში ჩრდილო იმპერიის მუზეუმი მანჩესტერში.....ჯევიშის მუზეუმი შეიქმნა 1999 წელს,ეს არის ლიბესკინდის ყველაზე მთავარი საერთაშორისო პროექტი.

მის პორტფოლიოში ყოველთვის არის რამოდენიმე საცხოვრებელი სახლის პროექტი. ლიბესკინდის ნამუშევრები მთელი მსოფლიოს მთავარ მუზეუმებშია გამოფენილი. როგორებიცაა მოდერნისტული ხელოვნების მუზეუმი, ბაუჰაუზის არქივი, ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი და პომპიდუს. 2003 წლის 27 თებერვალს ლიბესკინდი დააჯილდოვეს უმაღლესი კონპენსაციით არქიტექტურული პროექტისთვის, რომელიც მან შექმნა მანჰეტენში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის რეკონსტრუქციისათვის. ლიბესკინდმა თავისი პირველი შენობა დააპროექტა 52 წლის ასაკში.

ლიბესკინდის კომპოზიციური სქემები დატვირთულია ესთეტიკით და სამყაროს რეალობიდან გასვლით. იქმნება ახალი ფორმალური დამოკიდებულება ფორმასა და სივრცეს შორის. იბადება ახალი კონსტრუქცია: “ყურადღებით შევისწავლე რა პროექტირების საფუძვლები, მე აღმოვაჩინე კონსტრუქციების უსაზღვრო შესაძლებლობები”.დ.ლიბესკინდი.

ლიბესკინდის ნამუშევრები შეიძლება მივაკუთნოთ აბსტრაქტულ ფორმალიზმს, რადგან ატარებს აბსტრაქტულ თემებს და სიუჟეტებს. ეს არის სუფთა თამაში გეომეტრიული ფორმებით, რომელშიც ინტერპირებულია სუპრემატიზმის იდეები, ლიბესკინდი თავის ნამუშევრებს აკავშირებს დასასრულის შეგრძნებასთან, რაც ვლინდებოდა “არსებობის” ატმოსფეროს შეცვლაში, აზროვნებაში, ვიზუალურად დატვირთული სივრცეების პარადოქსალურ შეთავსებაში და სივრცეების სიცარიელეში, რომელიც სწორედ მალევიჩის “შავი კვადრატია”. ლისიციკის პროუნების სერია სივრცეში თავისუფლად განლაგებული ფიგურებით (სუპრემატიკული კომპოზიციები) ლიბესკინდის მიკრომეგასის სერიებში ნათლად იკითხება (1979 წ.). ეს საქალაქო ქრონიკის სერიები ასახავენ მის ხედვას არქიტექტურულ სივრცეზე.




ინტერვიუებში ლიბესკინდი ამბობს: “ყველაზე საინტერესოა შექმნა ის, რომელიც ადრე არ არსებობდა და არის შენი წარმოსახვის შედეგი, იმიტომ, რომ არქიტექტურა მარტო ფოლადი და ბეტონი არ არის. ის არის საოცრება”.

ლიბესკინდი დეკონსტრუქტივისტია, რომელიც სხვა დეკონსტრუქტივისტების მსგავსად ფრანგი ფილოსოფოსის დერიდას გავლენის ქვეშ მოექცა. იგი გატაცებული იყო “არსებობის” მეტაფიზიკით, რომელიც არქიტექტურის თეორიაში დეკონსტრუქტივისტული ფილოსოფიის მთავარი თემაა. მისი წინაპირობა არის ის, რომ არქიტექტურულ ენას შეუძლია შეიძინოს მნიშვნელობები ლინგვისტური ფილოსოფიის პრინციპების საფუძველზე არსებობა-არარსებობა ან სისავსე-სიცარიელე, რაც ჩანს ლიბესკინდის პროექტებში. იგი თვლიდა, რომ ადგილმდებარეობა, ანდა ადგილის არსებობა არის არქიტექტურა, ხოლო არსებობა – არარსებობის დიალექტიკა გამოიხატება დეკონსტრუქციაში. ნებისმიერი არქიტექტურული დეკონსტრუქცია ითხოვს განსაზღვრულ არქიტექტურ კონსტრუქციას და პირიქით.


“არსებობის “ მეტაფიზიკა, დეკონსტრუქცია, “კვალი” და “წაშლა” ფილოსოფიურად ლიტერატურულ ტექსტის და არქიტექტურულ დაწერაში განხორციელებულია სწორედ ლიბესკინდის ნაგებობებში. მისი ყველა შენობა შესრულებულია “თხრობის” ან “დიალოგის” ფორმით. იგი თავის ნაგებობებს ქმნიდა წიგნებს, მუყაოს მაკეტებს, ტექსტების საშუალებით და ასეთი სახით ამკვიდრებდა აზრს, რომ არქიტექტურასა და დამწერლობას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. (1987 წ.)




ზემოთ თქმულის ნათელი მაგალითია ქ. ბერლინის ურბანული ნიშნებით დატვირთული გრაფიკულ ინსტალაციები, რომელსაც უწოდა “ცეცხლის ხაზი” (1987-1988 წ.) ან “ხაზის მიღმა” 1991 წ. ან “სხვა მხარეს”.



ეს არის აბსტრაქტული კომპოზიციები ქალაქურ სიტუაციებში, ქალაქური ნიშნებით, რასაც შემდგომ ავტორი მიყავს კონცეფციამდე და იდეამდე – თავისუფალებისკენ. ეს არის მომავლის ინსპირაცია, რომელშიც არქიტექტურა არ არის, სამყაროს კიდევ ერთი წაკითხვა, განახლება რომელიც არის დეკონსტრუქცია, ლიბესკინდის ხედვა “ნოლის” მიღმა, რომელშიც ჩადებულია პრინციპულად განუხორციელებლობის იდეა. სწორედ აქ ჩანს მალევიჩის სუპრემატიზმის მანიფესტი – გაზიარება, კომუნიკაცია და ხელახალი რეპრეზენტაცია.



ოცნების სახლი




გაბზარული ფორმები სივრცეში.

საცხოვრებელი სახლი მათემატიკური სახელით 18.36.54 ორგანულად ჩაწერილია 18 საუკუნის კედლის ნანგრევებით შემოფარგლულ ლანდშაფტში. სახლი ერთი შეხედვით წარმოადგენს რკინის ზოლებს, რომელიც სპირალულადაა დახვეული და ქმნის 18 სიბრტყეს, დაკავშირებული 36 წერტილით და შეერთებული 54 სწორი კავშირით. სწორედ ეს მათემატიკური რეზუსი გახდა პროექტის სახელწოდება. ლიბესკინდმა შეცვალა სახლის

კედელი, დახარა, შეათავსა, ღერძები აურია და ჩვეულებრივი სახლი დეკონსტრუქციის აქტად გადააქცია. დაუუხანგავი ფოლადის ზედაპირები მზის განათებისდამიხედვით იცვლის ფერს და ამავე დროს სხვადასხვა რაკურსებით ირეკლება გარემო ლანდშაფტი. მდენად ამრეკვლავი ზედაპირებით იქმნება ოპტიკური ილუზიები, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს არის მხოლოდ ფორმა, რომელსაც შინაარსი არ გააჩნია, დაფარული საიდუმლო რომელიც სვავს კითხვას: რა არის მის მიღმა? მიუხედავად ასეთი რთული სტრუქტურისა სივრცული ჰარმონია არ არის დარღვეული ინტერიერში. ინტერიერი ლოგიკურად აგრძელებს გარე სტრუქტურას და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლანდშაფტი სახლად გადაიქცა.




“კედლის” ან “წაშლის” ცნება ლიბესკინდმა გამოიყენა თავის ესკეებში და ბერლინში “ებრაელთა მუზეუმის” ნაგებობაში. მუზეუმი წარმოადგენს დინამიურად განვითარებულ და ამავე დროს დაძაბულ ზიგზაგს, რამაც თემა გახადა მკაფიოდ წაკითხვადი და მტანჯველი.



ერთ ერთი უკანასკნელი ნამუშევარი ე.წ. “კედლის მიღმა” (Beyond the wall) სკულპტურული ქანდაკებაა, ფორმა რომელსაც შინაარსი არ გააჩნია მიმართულია რაციონალური აზროვნების სტერეოტიპების დასაძლევად. ეს არის დეკომპოზიციის

მეთოდით მუშაობა ფორმაზე, იგივე დეკონსტრუქცია, როგორც ფრაგმენტების სერია. – ნიშნები შინაარსის გარეშე.



ამრიგად განხილულმა მაგალითებმა დაგვანახა, რომ დანიელ ლიბესკინდი ერთ-ერთი საინტერესო არქიტექტორია, რომლის შემოქმედება რთულია ერთი სტილის ფარგლებში მოვაქციოთ. მისი არქიტექტურა შთაგონებულია ლიტერატურული ტექსტით “ქუჩა ცალმხრივი მოძრაობით” (ვალტერ ბენიამინი) ამ ფრაზამ არქიტექტორი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ისტორიის გზა ეს არის გზა ბოლოსკენ, რომ სამყაროს შეცნობა დასრულდა და ეხლა იწყება მარადისობა.”